საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისკენ

№3 / 2010



# საარჩევნო ციებ-ცხელება და იურიდიული კონსულტაციები

დღეისათვის ქვეყანა და მათ შორის აჭარის რეგიონიც სრულიად მოიცვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ციებ-ცხელებამ. არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ აღნიშნული არჩევნების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, მაგრამ არა პირდაპირ, რაც მდგომარეობდა შემდეგში: კავშირმა „ინტელექტმა“ თვითმმართველობის და არჩევნების პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებისა და საზოგადოების განათლების მიზნით მასშტაბური საინფორმაციო – საგანმანათლებლო კამპანია ჩაატარა. ადგილობრივი განმანათლებლები, რომლებსაც საკუთარი თემის მოსახლეობის 2/3 უნდა მოეცვათ, აქტიურად მუშაობდნენ თემებში, თუმცა იყო სპეციფიკური საკითხები, რომლებზეც პასუხის გაცემა ადგილობრივი განმანათლებლის კომპეტენციას აღემატებოდა და საჭიროებდა სპეციალურ იურიდიულ განათლებას. სწორედ ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის იურისტები სამიზნე მუნიციპალიტეტების თემებში ატარებდნენ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს, რომელიც მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

შეუძლია თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს მოსახლეობას დაეხმაროს ბანკთან ურთიერთობაში, სოციალური სუბსიდიების სააგენტოსგან ინფორმაციის მიღებაში, დაზღვეულებმა საკუთარი სურვილით აირჩიონ სამკურნალო დაწესებულება და მკურნალი ექიმი, მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით, ვის კომპეტენციაში შედის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, შეუძლია თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მიღება ადამიანს, რომელსაც საკუთარი ფეხით გადაადგილება არ შეუძლია – ეს იმ საკითხთა მცირე ჩამონათვალია, რომლებზეც კავშირ „ინტელექტის“ იურისტები მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას. აღნიშნულ ფაქტს დადებითად აფასებდა მოსახლეობა. ადამიანები აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი კონსულტაციები დროული და საჭიროა, რადგან უკეთესად გაერკვენ მოახლოებული არჩევნების არსსა და მნიშვნელობაში. ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისის მკვიდრი მურმან ბოლქვაძე: „დარეგისტრირებული ვარ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, დამკვირვებლად მიმამაგრეს ქედის №80 საარჩევნო ოლქის № 25 საარჩევნო უბანზე, მაინტერესებდა, სად უნდა დამეფიქსირებინა კენჭისყრის დროს ჩემი არჩევანი, რომელზეც „ინტელექტის“ იურისტებისგან მივიღე უფასო და ამომწურავი კონსულტაცია, რაც დამეხმარა გავრკვეულიყავი კანონმდებლობაში.“

მართალია ამ ეტაპზე მოსახლეობის აქტიურობა არც ისე მაღალია, მაგრამ „ინტელექტს“ იურიდიული კონსულტაციებისთვის გახსნილი აქვს სატელეფონო ცხელი ხაზი, რომელზე დარეკვითაც ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება, მიიღოს იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე.

**ცხელი ხაზის ნომერია :**
**(892) 57 14 00**

ამჟამინდელი მონაცემებით იურიდიული კონსულტაცია ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის 100-მდე მკვიდრს გაეწია. იურიდიული კონსულტაციები უფასოა და პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა დასრულებამდე გაგძრელდება.

# განმანათლებლებმა თემებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაასრულეს

საქართველოს მოქალაქეების უფლება – მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

იმისათვის, რომ თითოეულმა მოქალაქემ განახორციელოს და დაიცვას მისთვის მინიჭებული უფლებები, ამისათვის საჭიროა იცოდეს და გარკვეული იყოს უფლებამოსილებებში.

სწორედ იმისათვის, რომ აჭარის რეგიონის მოსახლეობა კარგად გარკვეულიყო და სცოდნოდა საკუთარი უფლებები პროექტის – „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ კონკურსის წესით შერჩეული განმანათლებლები თემებში მუშაობდნენ. ისინი კარდაკარ შემოვლის პრინციპით მოსახლეობას აცნობდნენ კავშირ „ინტელექტის“ საქმიანობას, ესაუბრებოდნენ თვითმმართველობის არსზე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ და არჩევნებში მონაწილეობის მიღების აუცილებლობაზე.

პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ითვალისწინებდა 32 200 პირდაპირი და 71200 არაპირდაპირი ბენეფიციარის ინფორმირებას. ამაზე აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემში 92 განმანათლებელი ზრუნდავდა. დღეისათვის უკვე საგანმანათლებლო შეხვედრები დასრულებულია და ინფორმირებულია პროექტით გათვალისწინებულ ბენეფიციართა 100 პროცენტი.

განმანათლებლების ხალხთან მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ყველა თემში იდენტურია:

„მოსახლეობა ეჭვის თვალით გვიყურებდა, ეგონათ, მთავრობასთან ან ოპოზიციასთან გვაქვს კავშირი. ბევრს არ ჰქონდა მოსმენის სურვილი. ხალხს იმდენი პრობლემა აქვს, რომ თემებს, რაზედაც ვესაუბრებოდით, მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ. მაქსიმალურად ვცდილობდით მათი ცნობიერება შეგვეცვალა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მუშაობა შედეგს გამოიღებს“, – აცხადებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქაქუთის თემის განმანათლებელი ბესიკ ცეცხლაძე.

ახალშენის თემის განმანათლებელს – კობა შოთაძეს საკუთარ თემში მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას კარგად იცნობს, გაუჭირდა, რადგან: „თავიდან აგრესიულად გიყურებდნენ, ეგონათ, რომელიმე პარტიის წარმომადგენელი ვიყავი და ყურადღების მოქცევის სურვილიც არ ჰქონდათ. როცა ავუხსნიდით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოვადგენდით და პოლიტიკასთან საერთო არაფერი გვქონდა, მხოლოდ ამის შემდეგ გვისმენდნენ.“

მახინჯაურის თემის განმანათლებელს – თალიკო ჯაყელს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმატებულად განხორციელებაში საკუთარი პროფესია დაეხმარა: „ძალიან გამიჭირდებოდა მოსახლეობასთან ურთიერთობა, რომ არა ჩემი ავტორიტეტი. პედაგოგი ვარ და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოსახლეობა მისმენდა, თუმცა როცა ვუხსნიდი, რომ არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი და საქმე, რომელსაც ვაკეთებ მათთვის სასიკეთოა – ინტერესდებოდნენ.“



# „წლები ვერაფერს დამაკლებს“

**კავშირმა „ინტელექტმა“ პროექტის „ჩვენი არჩევანი-რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში აჭარის რეგიონის 63 თემში 92 ადგილობრივი განმანათლებელი შეარჩია, რომლებიც მოსახლეობაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს ატარებენ. თავად ადგილობრივი განმანათლებლები საკუთარ თემებში გამოირჩევიან ავტორიტეტით. საგაზეთო ჩანართის – „ინტელექტი“ რედაქციამ გადაწყვიტა ის ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის სახელით მუშაობენ, ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო.**



*ნანული ჯაფარიძე*

„ადამიანი ფასდება იმით, თუ რას აძლევს იგი ადამიანებს და არა წარმატებით. ეცადეთ, იყოთ არა წარმატებული, არამედ დაფასებული ადამიანი. თუ შევხედავთ დიდ ადამიანებს, დავინახავთ, რომ თითოეულ მათგანს აქვს რაღაც მიცემული კაცობრიობისთვის. უნდა გასცეთ, რათა გქონდეთ აღების შესაძლებლობა. როცა თქვენი მიზანი ამ ქვეყანაზე ფასეულობათა გამრავლება ხდება, ცხოვრების ახალ საფეხურზე ადიხართ“ – აინშტაინის ეს დიდებული გამონათქვამი მაშინ გამახსენდა, როდესაც ნანული ჯაფარიძეს ვესაუბრებოდი და საკლასო ოთახში ჯერ მოსწავლეები შემოვიდნენ, შემდეგ დირექტორი ბოლოს კი მისი კოლეგები... უყურებ ამ ქალბატონთან მათ ურთიერთობას და ხვდები, რამდენად დაფასებული ადამიანია, რამდენად უყვართ და უფრთხილდებიან...

აქტიური, ენერგიული, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, ერთგული... – ასე ახასიათებს ყველა, ვისაც ოდესმე შეხება ჰქონია მასთან.

უყვარს საქმე რომელსაც 1968 წლიდან ემსახურება...

**ყველა გაკვეთილი მისთვის შემოქმედებითი წვაა, ყველა საინტერესო და ერთნაირად საყვარელია, ვერ იხსენებს დროს, როდესაც გაკვეთილზე ყოფნისას სხვა რამეზე ეფიქროს...**

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1945 წლის 17 მაისს მრავალშვილიან ოჯახს კიდევ ერთი ქალიშვილი შეემატა, ქალბატონი ნანული 6 დასთან და 3 ძმასთან ერთად მახინჯაურში იზრდებოდა. როგორც თავად ამბობს, მშრომელი და მზრუნველი მშობლების გაზრდილია, რომლებსაც განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდათ ბავშვების აღზრდასთან, მიუხედავად იმისა, რომ ომის წლები იყო, ცხოვრების ხალისი არ დაუკარგავთ არ უგრძვნიათ გაჭირვება და სიღარიბე, რადგან დიდ სითბოს, სიყვარულსა და მზრუნველობაში იზრდებოდნენ. მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს ბავშვობიდანვე ჩამოუყალიბდა ადამიანების მიმართ ურთიერთგაგების გრძნობა, რაც დღემდე მოჰყვება. მოსწავლეობის ასაკიდანვე გამოირჩეოდა შემოქმედებითი ნიჭით: მღეროდა, ცეკვავდა, იყო დეკლამატორიც და საუკეთესო მოსწავლეც, რაც პედაგოგების მხრიდან დიდ სითბოსა და სიყვარულს იმსახურებდა. სწორედ მასწავლებლების ამგვარმა დამოკიდებულებამ ადრეულ ბავშვობაშივე გადააწყვეტინა, რომ ის აუცილებლად მასწავლებელი უნდა გამოსულიყო...

ბავშვობის ოცნება სკოლის დამთავრებისთანავე აიხდინა. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოფელ ჭვანის საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა, აქ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ თავის არჩევანში არ შემცდარა, სოფელში ხომ პედაგოგებს განსაკუთრებული პატივისცემით და სითბოთი ეპყრობიან. 1970 წლიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დასახლდა. მუშაობდა ხელვაჩაურის მოსწავლე-ახაგაზრდობის სასახლეში, ჯერ განყოფილების უფროსად, მოგვიანებით კი დირექტორად. 16-წლიანი საქმიანობის შემდეგ ისევ სკოლას დაუბრუნდა (თუმცა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეშიც ბავშვებთან მუშაობდა, ატარებდა კლასგარეშე გაკვეთილებს, ერთობლივად ამზადებდნენ ღონისძიებებს და ა.შ) 1987 წელს დაბა ხელვაჩაურის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს, 2003-2007 წლებში ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელიც გახლდათ. აქტიური ადამიანი ყოველთვის პოულობს საქმეს სადაც შეიძლება საკუთარი გამოცდილება სხვებს გაუზიაროს და სხვისი გამოცდილება საკუთარ თავზე გამოსცადოს. არის ფონდ „სოხუმის“ მიერ ჩამოყალიბებულ „ამომრჩეველ ქალთა კლუბის“ აქტიური წევრი, სადაც საკმაოდ საინტერესო შეხვედრები და დისკუსიები იმართება.

პროფესიულმა კავშირებმა გამოაცხადეს კონკურსი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის, სადაც საჭიროა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, რომლის გავლის შემდეგ გამარჯვებული მასწავლებლები გაწევრიანდებიან საქართველოს მასშტაბით შექმნილ ტრენერ მასწავლებელთა კლუბში. აღნიშნული კლუბის წევრები სამომავლოდ დაეხმარებიან ახალბედა პედაგოგებს პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა-განვითარებაში. ნანული მასწავლებელიც აპირებს გახდეს ტრენერ-მასწავლებელთა კლუბის წევრი და მსგავსი კლუბი ჩამოაყალიბოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. „მსურს ნებისმიერი სკოლის პედაგოგი აქტიურად ჩაერთოს პროცესებში და არ ჩამორჩეს სიახლეებს, რადგან ყველა სფერო განიცდის პროგრესს და ხელვაჩაურელებმაც აუცილებლად უნდა აუბათ მხარი“.

რაც ყველაზე მეტად გულს სტკენს, ეს პედაგოგის პროფესიის გაუფასურებაა: „მართალია, ახალგაზრდებს დღეს პედაგოგობას ბიზნესმენობა, ჟურნალისტობა, ეკონომისტობა და სხვა გაცილებით პრესტიჟული პროფესიები ურჩევნიათ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი: პედაგოგი – ეს არის ადამიანის სულის მაფორმირებელი და მას დიდი როლი მიუძღვის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მშობლის შემდეგ სწორედ პედაგოგია პასუხისმგებელი მომავალი თაობის აღზრდაში... ვერც ერთი ადამიანი პროფესიონალი ვერ დადგება, თუ მას არ ჰყავს კარგი პედაგოგი... სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ პროფესია – პედაგოგი შესაშური პროფესია გახდეს და კონკურენცია გაუწიოს სხვა დანარჩენ პროფესიებს“.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალბატონ ნანულის ტრენინგი გამოეტოვებინოს, რომელიმე საზოგადოებრივი საქმისათვის თავი აერიდებინოს. ასაკის მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა, ტრენინგი გაიარა და ხელვაჩაურის თემის მოსახლეობაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და საარჩევნო სისტემის შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებიც ჩაატარა.

**ცხოვრება არ აძლევს საშუალებას მოდუნდეს, აქტიურობა ბუნებაში უზის, ჯერ კიდევ დიდხანს არ აპირებს შეჩერებას და უკან დახევას. ახალგაზრდები მისი აქტიურობის ელექსირია: „სანამ მათთან ვიქნები, მეც ახალგაზრდა ვარ და წლები ვერაფერს დამაკლებს.“ ყოველდღიურ სიამოვნებას ანიჭებს საყვარელი საქმე, რომლებსაც წლებია პირნათლად ემსახურება. არის პერიოდი, როდესაც გადაუჭრელი პრობლემა უდგას, ხანდახან გულს დარდი შემოაწვება, მაგრამ დილით როცა იცის თავისი საყვარელი საქმის საკთებლად უნდა წავიდეს – ყველაფერი ავიწყდება.**

მიაჩნია, რომ კარგი პედაგოგია, შემოქმედებიად იწვის და ყველა მისი გაკვეთილი ხელოვნების ნიმუშია, ახალგაზრდების ყურადღება მაშინაც კი სრულად აქვს მიპყრობილი, როცა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. ცდილობს „წიგნს მოწყვეტილ“ და „კომპიუტერს მიჯაჭვულ“ ახალგაზრდებს წიგნის სიყვარული გაუღვივოს. ფიქრობს, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია ისევ და ისევ პედაგოგების აქტიურობით, ახალი მეთოდების გამოყენებით, ინტერაქტიული და საინტერესო გაკვეთილებით.

„არ არსებობს მიზანი, რომლის მიღწევაც ადამიანს არ შეუძლია, მთავარია გულით მოინდომოს“. მისი ოცნება ამჯერადაც ახალგაზრდებს უკავშირდება. სურს, იყოს მშვიდობა, „ახალგაზრდებს ჰქონდეთ საშუალება, მიიღონ სასურველი განათლება, იცხოვრონ საკუთარ სამშობლოში და შემოუბრუნდეთ გული ქვეყნის, საქმისა და ერთმანეთის სიყვარულზე. ყველაზე მეტად გულს მტკენს საზოგადოების გაუცხოება, მაგრამ იმედი მაქვს, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფრის მიღწევა შეიძლება, მთავარია ამის ნება და სურვილი იყოს“...

P.S. დასასრულს ისევ აინშტაინის სიტყვებს მოვიშველიებ: „განათლება არის ის, რაც რჩება ადამიანს, როცა ყველაფერი დაავიწყდება, რაც სკოლაში ასწავლეს. 30 წლის შემდეგ თქვენ უეჭველად დაგავიწყდებათ ყველაფერი, რასაც სკოლაში გასწავლიდნენ. გემახსოვრებათ მხოლოდ ის, რაც სინამდვილეში თავად ისწავლეთ.“

დაბა ხელვაჩაურის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებსაც ალბათ მხოლოდ ის ახსოვთ რაც თავად ისწავლეს და კიდევ... ნანული მასწავლებელი.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge